კონსოლიდირებული ვერსია (04.04.2018 N23/5)

დამტკიცებულია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2012 წლის 8 თებერვლის

№ 23/3 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში "უნივერსიტეტი") კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური ცენტრის (შემდგომში "ცენტრი") უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. ცენტრი შექმნილია უნივერსიტეტში დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი განათლების (როგორც საბაკალავრო და სარეზიდენტო პროგრამებში, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა) და უწყვეტი პროფესიული განათლებისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებისა და მათ განხორციელებაში მონაწილეობისათვის; ცენტრში საშუალება მიეცემათ მათ ისწავლონ და შეიძინონ სამედიცინო პროცედურების პრაქტიკულად ჩატარების უნარ-ჩვევები, რათა სათანადო პროფესიული კომპეტენციებით უზრუნველყოს სტუდენტი, რეზიდენტი და სამედიცინო დარგის პროფესიონალები, ფარმაცევტები, სტომატოლოგები, ჯანდაცვის მუშაკები და სხვა.(04.04.2018წ N23/5)

2. ცენტრი ასევე შეიმუშავებს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო სპეციალურ პროგრამებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის.

3.ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თსსუ-ს წესდებით, მართვის ორგანოების

ადმინისტრაციული აქტებითა და ამ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

4. ცენტრი ფუნქციონირებისათვის გადაცემული ქონებით და ფინანსური სახსრებით სარგებლობას ახორციელებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

5. ცენტრს გააჩნია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული მრგვალი ბეჭედი სრული დასახელებით ქართულ და ინგლისურ ენაზე, შტამპი და სატიტულო ფურცელი.

6. ცენტრის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29, თსსუ I კორპუსი, I სართული.(04.04.2018წ N23/5)

თავი II. ცენტრის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2.

1. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) კლინიკური უნარების შესახებ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისათვის სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამებისა მომზადება, მისი მუდმივი სრულყოფა და მის განხორციელებაში მონაწილეობა;(04.04.2018წ N23/5)

ბ) სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებისათვის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (ოსკის) ორგანიზება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეფასების სისტემის დანერგვა;

გ) სამედიცინო დარგის პროფესიონალთა სარეაბილიტაციო პროგრამებში კლინიკური უნარების სასწავლო სპეციალური კურსის მომზადება კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

დ) დამხმარე ტექნიკური მოწყობილობის, მულაჟების, სიმულატორების, მანეკენების და სადიაგნოსტიკო აპარატურის მუდმივი განახლება და ახალი სამკურნალო-სარეაბილიტაციო მეთოდების დანერგვა სასწავლო კურიკულუმში;

ე) კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარება საერთაშორისო ექსპერტების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კონფერენციებზე სამუშაო შეხვედრებზე დასწრების გზით;(04.04.2018წ N23/5)

ვ) სტანდარტიზებულ პაციენტთა მომზადების სპეციალური კურსების მომზადება და განხორციელება;

ზ) სიმულაციების ჯანდაცვასა და სამედიცინო განათლებაში გამოყენების ადგილობრივი ასოციაციების შექმნა, თნამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სასწავლო-მეთოდური დახმარების, დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით;

თ)კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებაში;(04.04.2018წ N23/5)

ი) მოზრდილთა სწავლების პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების შესახებ სპეციალური პროგრამების მომზადება და განხორციელება უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

კ) უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების მომზადება პროფესიული კლინიკური უნარები შესწავლისა და სრულყოფის მიზნით, როგორც ზოგადი პრაქტიკის (ოჯახის) ექიმებისათვის, ასევე ვიწრო სპეციალისტებისათვის (რეანიმატოლოგებისათვის, ქირურგებისათვის, მეან-გინეკოლოგებისთვის, ოფთალმოლოგებისათვის, ოტო-რინო-ლარინგოლოგებისათვის და სხვა);

ლ) საექთნო განათლების დიპლომისშემდგომ სასწავლო პროგრამაში კლინიკური სადიაგოსტიკო პროცედურების და სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების შესახებ სპეციალური სასწავლო მოდულის შემუშავება და განხორცილება;

მ) ექთნების გადამზადების პროგრამების შემუშავება სამუშაო ადგილების სპეციფიკის გათვალისიწინებით, საგამოცდო ტესტებისა და შეფასების ფურცლების ადაპტირება საერთაშორისო სტანდარტებთან და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების უზრუნველყოფა;

ნ) სასწავლო–საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება პროფესიული საჭიროებების გათვალისწინებით სხვადასხვა დარგის პროფესიონალებისათვის (პოლიციელებისათვის, მეხანძრეებისათვის, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების თანამშრომელთათვის, მასწავლებლებისათვის და სხვა) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით;

ო) სასწავლო–საგანმანათლებლო მასალების, წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების, პოსტერების მომზადება და გავრცელება სხვადასხვა სახის სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების შესახებ;

პ) კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა (ცენტრში ღია გაკვეთილების მოწყობა დამამთვრებელი კლასიის სკოლის მოსწავლეებისთვის; მშობელთა სკოლის მოწყობა ახალშობილთა მულაჟებზე ბავშვის მოვლის პრინციპების შესწავლა და სხვა), ღია კარის დღეებში და სხვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა;(04.04.2018წ N23/5)

ჟ) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ უმცროსი სამედიცინო და არასამედიცინო პერსპონალისათვის სპეციალური სასწავლო კურსის მომზადება და დანერგვა კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, პაციენტის მოვლასა და პირველად სამედიცინო დახმარებაში;

რ) ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების განვითარებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის წესის შემუშავებაში უნივერსიტეტის მონაწილეობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;

ს) სასწავლო პროცესში მულაჟებსა და მანეკენებზე ჩატარებული მანიპულაციების შეფასება სრულყოფილი კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვის საფუძველზე, არსებული სათვალთვალო სისტემის გამოყენებით.

ტ) მულტიმედიის საშუალებების გამოყენება პრაქტიკული საკომუნიკაციო უნარების დემონსტრირებისა და სწავლებისათვის, ინტერნეტ გვერდების ჩართვა სასწავლო პროცესში, ვებ გვერდების ბაზების მოძიება სასწავლო პროცესისათვის, ინოვაციური სასწავლო აქტივობების დაგეგმვა;

უ) სიმულატორებთან და მანეკენებთან მუშაობისას უზრუნველყოს ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა.

2. ცენტრი აწარმოებს სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის აუცილებელ კლინიკურ საქმიანობას.

3. ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად ცენტრი თანამშრომლობს:

ა) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან;

ბ) საუნივერსიტეტო და პარტნიორ კლინიკებთან;

გ) ქ. თბილისისა და საქართველოს რეგიონების სამედიცინო დაწესებულებებთან;

დ) საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

თავი III. ცენტრის სტრუქტურა

მუხლი 3.

1. ცენტრში შეიძლება შეიქმნას სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო - ცენტრის საბჭო.

თავი IV. ცენტრის დირექტორი

მუხლი 4.

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია რექტორისა და კანცლერის წინაშე, მართვის ამ ორგანოთა კომპეტენციის გათვალისწინებით.

3. ცენტრის დირექტორი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის მიერ ცენტრის ფუნქციონირებისათვის გადაცემული ქონების მართვასა და დაცვას;

ბ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების შესაბამისი დეპარტამენტებისა და პროგრამული მიმართულების აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საქმიანობაში, ამ დებულებით ცენტრისათვის განსაზღვრული ამოცანების განხორციელებისას;

გ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატურებს ხელშეკრულების გასაფორმებლად ცენტრში სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის;

დ) ცენტრის შემოსავლების მობილიზებაზე კონტროლს;

ე) ცენტრის საორგანიზაციო საქმიანობის (ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური, შიდა ღონისძიებები) დაგეგმვას და წარმართვას;

ვ) უნივერსიტეტისთვის შესაბამისი მოთხოვნისა და დოკუმენტაციის წარდგენას ფინანსურ ან/და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;

ზ) ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წინადადებების წარდგენას რექტორის წინაშე;

თ) სხვა საქმიანობის განხორციელებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ცენტრის მიზნებს.

4. ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დისციპლინური და სხვა ხასიათის ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს ცენტრის დირექტორის მიერ რექტორთან შეთანხმებით დამტკიცებული შინაგანაწესით.

5. ცენტრის დირექტორის ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები დგინდება შესაბამისი ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

6. ცენტრის დირექტორი, თსსუ-ის მიერ დადგენილ ფარგლებში ან მინდობილობით, წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში.

თავი V. ცენტრის აპარატი და დამხმარე პერსონალი

მუხლი 5.

1. ცენტრის თანამშრომლებს, ცენტრის დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

2. ცენტრის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

3. ცენტრის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საშტატო განრიგით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მოწვეული პირი.

4. ცენტრის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

5. იმ დასაქმებულთან, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემული ქონებისა და ფასეულობის შენახვასთან, დამუშავებასთან, ან სამუშაო პროცესში გამოყენებასთან იდება წერილობითი შეთანხმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

თავი VI. ცენტრის ქონება

მუხლი 6.

ცენტრი თავის საქმიანობაში იყენებს თსსუ-ის ქონებას, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ქონების დაცვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

თავი VII. ცენტრის შემოსავლები და ხარჯები

მუხლი 7.

ცენტრის შემოსავალი შეიძლება იყოს:

1. კლინიკური უნარ-ჩვევების და სამედიცინო განათლების შესახებ პროგრამების განხორციელებისა და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

2. სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მიღებული შემოსავლები.

3. სატენდერო კონკურსებში გამარჯვების შედეგად განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

4. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

5. ცენტრის კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები უნივერსიტეტის მიერ, ძირითადად მოხმარდება ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

6. ცენტრის შემოსავლებისა და ხარჯების ოპერირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

თავი VIII. ცენტრის ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 8.

1. ცენტრი ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დებულებით, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. ცენტრი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას იყენებს თსსუ-ის მიერ დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო ფასებსა და ტარიფებს.

3. ფასები და ტარიფები, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, სავალდებულოა ცენტრისთვის.

თავი IX. აღრიცხვა და ანგარიშგება

მუხლი 9.

ცენტრის საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.

თავი X. ცენტრის საქმიანობის კონტროლი

მუხლი 10.

1. ცენტრის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება თსსუ-ის მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

2. ცენტრის საქმიანობა მოწმდება არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XI. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

მუხლი 11.

1. ცენტრი პასუხისმგებელია თავის ვალდებულებებზე.

2. ცენტრის დირექტორისა და ცენტრის მუშაკების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XII. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 12.

ცენტრის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

თავი XIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13.

ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.